საქართველოს მთავრობის

დადგენილება №260

2023 წლის 17 ივლისი

ქ. თბილისი

„მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/02/2020, 300160070.10.003.021794) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – მანქანა-დანადგარების შესახებ“ X დანართით განსაზღვრული მანქანა-დანადგარების ნუსხის მე-7 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.	სხვა	სარბენი ბილიკი	9506 91 900 00
		სტაციონარული საფარეხე საწეველები (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ამწეები)	8425 41 000 00
		მანქანები მოსაღუნი, ნაწიბურსაღუნი, საწრფეველი (წნეხების ჩათვლით): ციფრული პროგრამული მართვით	8462 21
		მანქანები მოსაღუნი, ნაწიბურსაღუნი, საწრფეველი (წნეხების ჩათვლით): დანარჩენი	8462 29
		სამრეწველო, კომერციული და ავტოფარეხების კარები და კარიბჭეები (ელექტროკარები და კარიბჭეები)	7308 30 000 00
		საბაგირო სამგზავრო და სატვირთო გზები, სათხილამურო საწეველები; საწევი მექანიზმები ფუნიკულიორებისათვის	8428 60 000 00
		ესკალატორები და საქვეითო მოძრავი ბილიკები	8428 40 000 00
		ფხვნილების საფრქვევებლები და მანაწილებლები, ტრაქტორებზე ან ამ ტრაქტორებით ბუქსირზიდვისათვის დასაყენებელი	8424 49 100 00
		პორტატული გამაფრქვევლები	8424 41 000 00“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**